

დავით აღმაშენებლის  
იუსტიციის  
სახელმწიფო



დავით აღმაშენებლის  
სახელმწიფო  
საიუსტიციო  
სისტემის  
სახელმწიფო  
სახელმწიფო

თბილისი 2021

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი



<https://www.facebook.com/დამოუკიდებელი-იურისტების-ჯგუფი-Group-of-Independent-Lawyers-648795978915557>

# დისკრიმინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თბილისი 2021

ავტორი: **კახა წიქარიშვილი**  
გამოცემაზე პასუხისმგებელი: **დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი**  
ტექსტის რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**  
დიზაინი და ტექნიკური რედაქტირება: **ქეთევან გოგავა**

# შინაარსი

შესავალი .....	5
1. დისციპლინური სისტემის განვითარება საქართველოში – ხარვეზები და ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებები .....	6
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა – საერთაშორისო სტანდარტები.....	10
3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში ..	13
3.2. დისციპლინური სანქციები.....	18
3.3. დისციპლინურ საქმეთა მოკვლევის და არსებითი განხილვის ორგანოები .....	19
3.4. დისციპლინური პროცესი .....	23
3.5. დისციპლინური სტატისტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ....	29
დასკვნა.....	30





მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლოს ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ფორმაა. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა ადგენს – მოსამართლის რომელი ქმედებები ისჯება დისციპლინური წესით და რა სანქციები შეიძლება დაეკისროს მოსამართლეს, ასევე ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, გამოძიებისა და განხილვის ეფექტურ მექანიზმებს. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა უნდა იცავდეს ბალანსს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის, უნდა სარგებლობდეს საზოგადოებრივი ნდობით<sup>1</sup> და არ უნდა არღვევდეს მოსამართლის უფლებებს, უნდა იცავდეს ბალანსს კონფიდენციალობასა და გამჭვირვალობას შორის<sup>2</sup>.

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემამ მრავალი ცვლილება განიცადა. შეიცვალა და დაიხვეწა როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, ისევე როგორც დისციპლინური ორგანოების ფორმირების წესი. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ დისციპლინური სისტემა ადეკვატურად ვერასდროს პასუხობდა მისთვის წარდგენილ მოთხოვნებს. თუ 2012 წლამდე დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა პოლიტიკურად ურჩი მოსამართლეების დასასჯელად და დასაშინებლად გამოიყენებოდა, 2012 წლის შემდეგ ის კორპორაციული თავდაცვისა და კლანისადმი<sup>3</sup> ერთგული მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმად იქცა. დისციპლინური სისტემა, ისევე, როგორც ყველა ადმინისტრაციული ბერკეტი, თავმოყრილია მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფის – კლანის ხელში, რომელიც ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების მეშვეობით აკონტროლებს მართლმსაჯულებას<sup>4</sup>. სასამართლოს მომხმარებლებს შორის დისციპლინური სისტემის სანდოობა დაბალია.

განხორციელებული პროექტის ფარგლებში დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა შეისწავლა როგორც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტები, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ლიეტუვა, უნგრეთი, პოლონეთი, უკრაინა, მოლდოვა, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია) გამოცდილება და წარმოადგინა წინამდებარე მიმოხილვა.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში დისციპლინური მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პოლიტიკურად მოტივირებული რეპრესიების, ასევე გარკვეული მოსამართლეებისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებას<sup>5</sup>.

ზოგადად საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, თუმცა საქართველოში შექმნილი სპეციფიკის გათვალისწინებით, გადახედვას საჭიროებს დისციპლინური ორგანოების მოწყობისა და ფუნქციონირების არსებული მოდელი.

1 ENCJ, Councils for the Judiciary Report, 2010-2011, par. 3.11 [https://www.ency.eu/images/stories/pdf/working-groups/report\\_project\\_team\\_councils\\_for\\_the\\_judiciary\\_2010\\_2011.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/working-groups/report_project_team_councils_for_the_judiciary_2010_2011.pdf)

2 იხ. აგრეთვე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემოღების საჭიროება საერთო სასამართლოების სისტემაში, <http://www.supremecourt.ge/files/supload-file/pdf/nino-gvenetadzis-moxsenebis-sruli-texti.pdf>

3 ტერმინი „კლანი“ მოიაზრებს მოსამართლეთა ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფს, რომელიც ფლობს სასამართლოს მართვის ბერკეტებს და პოლიტიკურად აკონტროლებს მართლმსაჯულებას. იხ. მაგ. წიქარიშვილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე – [shorturl.at/htBW5](http://shorturl.at/htBW5)

4 იხ. მაგ. კ. წიქარიშვილი, კლანური მმართველობა საქართველოში 2007 წლიდან დღემდე, [shorturl.at/htBW5](http://shorturl.at/htBW5)

5 იხ. მაგ. უკრაინის გამოცდილება, Halyna Chyzyk, How to Achieve Successful Judicial Reform in Transition Democracies: Ukraine's Recipe, <https://drive.google.com/file/d/16KglH967jo2rYcQUGEfdNXPIF382EiiY/view>; ასევე OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of 'disguised' sanctions, response from Bulgarian Judges' Association. <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

# 1. დისციპლინური სისტემის განვითარება საქართველოში – ხარვეზები და ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებები

2012 წლამდე საქართველოს საერთო სასამართლოებში მკაცრი დისციპლინური პოლიტიკა მოქმედებდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენებოდა როგორც მოსამართლეებზე ზეწოლის მექანიზმი<sup>6</sup>. დისციპლინური სისტემის ნაკლოვანებებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შემდეგი:

- სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები და სადისციპლინო პროცედურები დახურული იყო და როგორც საზოგადოებას, ისე სხვა მოსამართლეებს არ ჰქონდათ წვდომა ამ გადაწყვეტილებების შინაარსზე;
- მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, ისჯებოდნენ ისეთი ფორმალური დარღვევებისათვის, რომელთაც არ გამოუწვევიათ რაიმე ზიანი, ან რომელიც იყო გამოსწორებადი სააპელაციო და საკასაციო წესით<sup>7</sup>;
- დისციპლინური გადაცდომების გამოვლენა ხშირად ხდებოდა პროაქტიულად, მოხსენებითი ბარათის მეშვეობით, რაც იძლეოდა არასასურველი მოსამართლეების შერჩევას, მათ მიერ ჩადენილი გადაცდომე;
- ბის გამოვლენის და დასჯის ფართო შესაძლებლობას<sup>8</sup>;
- დისციპლინური დევნის ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო აკომპლექტებდა დისციპლინურ საქმეთა არსებით განმხილველ ორგანოს – სადისციპლინო კოლეგიას, რის გამოც ფორმალურადაც კი არ არსებობდა დისციპლინურ საქმეთა დამოუკიდებელი განხილვის მექანიზმი;
- დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევის ორგანოს არ ჰქონდა დამოუკიდებლობის თუნდაც ფორმალური გარანტიები.

2012 წლის შემდეგ სასამართლო რეფორმის 4 ტალღით დისციპლინური წარმოების სისტემაში მრავალი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- შეიქმნა სადისციპლინო საქმეთა განმხილველი ცალკე ორგანო, სადისციპლინო კოლეგია, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან.
- შემოღებული იქნა დისციპლინური საქმეების მოკვლევის სპეციალიზებული ორგანო – დამოუკიდებელი ინსპექტორი;
- გაიზარდა მოსამართლის უფლებები დისციპლინურ პროცესში;
- დამტკიცდა დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალი, გაუქმდა ზოგადი მითითება სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევაზე;
- გასაჯაროვდა სადისციპლინო კოლეგიისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები პერსონალური მონაცემების დაშტრიხვით;

6 იხ. მაგ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2006-2016 წლებში მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა, 2017.

7 იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა და სტატისტიკა, dcj.court.ge

8 იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღების საჭიროება საერთო სასამართლოების სისტემაში, შემოთავაზებული ცვლილებების არსი და დასაბუთება, 2015 <https://bit.ly/3oiLrqR>



- მოსამართლის მოთხოვნით, შესაძლებელი გახდა სადისციპლინო საკითხებზე იუსტიციის საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის სხდომების გასაჯაროება.

2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, დისციპლინურმა სისტემამ საზოგადოებრივი ნდობა მაინც ვერ მოიპოვა. 2020 წელს განხორციელებული კვლევით დასტურდება, რომ პრაქტიკოსი ადვოკატების დიდი ნაწილი<sup>9</sup> დისციპლინურ სისტემას არ ენდობა, რის გამოც ბევრი ადვოკატი თავს იკავებს დისციპლინური საჩივრის წარმოდგენისგან.

როგორც 2020 წელს ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა – დისციპლინური სისტემა ავლენს კორპორატივიზმის და ფავორიტიზმის ნიშნებს და არის არაეფექტური. პრობლემას წარმოადგენს დისციპლინური გადაწყვეტილებების ჯეროვანი დასაბუთება; არის შემთხვევები, როდესაც დისციპლინური საქმეები წყდება ქვორუმის არარსებობის გამო, რაც შეიძლება იყოს მოსამართლისთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მექანიზმი; საქმეთა გაჭიანურების გამო, პასუხისმგებლობისგან ბლანკეტურად თავისუფლებიან და არაადეკვატურად ხდება რეაგირება მედიაში გავრცელებულ ცნობებზე<sup>10</sup>.

იმავე კვლევის შედეგად, გამოიკვეთა საკანონმდებლო ხარვეზებიც, კერძოდ: დახვეწას საჭიროებს დისციპლინური გადაცდომების სისტემა; გასაფართოებელია როგორც მოსამართლის, ასევე მომჩივანის უფლებები; შესამცირებელია დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში; დასახვეწია დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი;

2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. შესაბამისად დღევანდელი მდგომარეობით, ცალკეული შემთხვევების გარდა, აღარ ისჯება მოსამართლის მიერ კანონის განზრახი ან გაუფრთხილებელი დარღვევა, თუნდაც, მას რომ შედეგად მოჰყვეს გამოუსწორებელი ზიანი<sup>11</sup>. აღნიშნული შეიძლება შეფასდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის გადადგმულ ნაბიჯად, მაგრამ მეორე მხრივ შეიძლება შექმნას გარკვეული ვაკუუმი სასამართლოს ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. სრულყოფილ სისტემაში უხეში სამართლებრივი შეცდომა, რომელსაც აქვს სისტემატური ხასიათი ან განზრახი, უნდა ისჯებოდეს დისციპლინური წესით, მაგრამ საქართველოში, სადაც სახეზეა დისციპლინური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მაღალი რისკი, ასეთი გადაცდომის შემოღება არ არის რეკომენდირებული ამ ეტაპზე. დღეისათვის ჩვენ შეიძლება რეკომენდაცია გავუწიოთ მოლდოვეთში არსებულ დისციპლინურ გადაცდომას: მოსამართლის ქცევა ჩადენილი მართლმსაჯულების განხორციელებისას, რომელიც მიუთითებს მკაფიო და სერიოზულ არაკომპეტენტურობაზე.

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მოკვლევის უფლებამოსილება მრავალი სხვადასხვა სუბიექტიდან (სასამართლოს თავმჯდომარეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ა.შ.) მხოლოდ ერთ სუბიექტს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს გადაეცა. ეს ცვლილება, თითქოს, ერთი შეხედვით, პოზიტიურად

9 უფლებები საქართველო, „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2020 (დაფინანსებულია აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის – USAID/PROLOG ის მიერ).

10 იქვე;

11 კანონის ფორმულა „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“ 2012 წელს სადისციპლინო კოლეგიის მიერ განიმარტა როგორც “legal error plus” ის ექვივალენტი. თუმცა კანონიდან ამ დისციპლინური გადაცდომის ამოღების შემდეგ სამართლებრივი შეცდომა (კანონის დარღვევა) აღარ ისჯება, არც განზახ და არც გაუფრთხილებელი ჩადენის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით სამოსამართლო პერფორმანსი აღარ ექვემდებარება დისციპლინას (გარდა შეზღუდული შემთხვევებისა როცა სახეზეა მიკერძოება, დისკრიმინაცია, გაჭანურება).



უნდა შეფასდეს, ვინაიდან გულისხმობს დისციპლინური საქმის გამოძიებას სპეციალიზებული მობელის მიერ, თუმცა საქართველოს სინამდვილეში ეს არის მონოპოლია დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებასა და მოკვლევაზე, რომელიც თავს იყრის დომინანტი მოსამართლეთა ჯგუფის – კლანის ხელში. ასევე კლანის ხელშია მოქცეული დისციპლინური ბრალდების ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო და არსებითად განმხილველი ორგანო – საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოში მოსამართლეების არჩევა ხდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, კანდიდატები წარმოდგენილია მხოლოდ პირთა ერთი ჯგუფის მიერ, შესაბამისად, არ არსებობს კანდიდატთა შორის კონკურენცია<sup>12</sup>.

დისციპლინურ სისტემაში არსებულ ცვლილებაზე მეტყველებს დისციპლინური სტატისტიკა: 2005-2012 წლებში დისციპლინური წესით დაისაჯა 206 მოსამართლე. აქედან – თანამდებობიდან გათავისუფლდა 37 მოსამართლე, მკაცრი საყვედური გამოეცხადა 29-ს, ხოლო საყვედური გამოეცხადა 59 მოსამართლეს; შენიშვნა გამოეცხადა 58 მოსამართლეს, კერძო სარეკომენდაციო ბარათო0000ით მიემართა 33 მოსამართლეს. ხოლო 2013-2020 წლებში დისციპლინური წესით დაისაჯა სულ 10 მოსამართლე, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნა ყველაზე მსუბუქი დისციპლინური სანქციები (5 სარეკომენდაციო ბარათი, 4 შენიშვნა, 1 საყვედური)<sup>13</sup>. წინამდებარე მონაცემებზე დაყრდნობით, ქართული დისციპლინური სისტემა ორ უკიდურესობას შორის მოძრაობს – 2012 წლამდე სახეზე გვაქვს მკაცრი და შერჩევითი დისციპლინური პოლიტიკა, ხოლო 2012 წლის შემდეგ მეტისმეტად ლიბერალური პოლიტიკა, რაც ზოგ შემთხვევაში, პროტექციონიზმისა და ფავორიტიზმის ნიშნებს აჩენს<sup>14</sup>.

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა მოწმობს, რომ სუსტია დისციპლინური საქმის გამოძიების მექანიზმები. მართალია, დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს შესაძლებლობა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებიდან მოიძიოს მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაცია, თუმცა მას არ გააჩნია კერძო დაწესებულებებიდან დოკუმენტის გამოთხოვის ან მოწმის სავალდებულო გამოძახების უფლება, ასევე დისციპლინურ პროცესში არ არსებობს ცრუ ჩვენებისათვის მოწმის პასუხისგებაში მიცემის ინსტიტუტი.

კითხვის ნიშნებს ბადებს დისციპლინური საქმის მოკვლევის ორეტაპიანი პროცედურა საქართველოში, რომლის ფარგლებშიც არსებობს ხელოვნური ჩამკეტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყების სახით. გარკვეულ შემთხვევებში, ეს მექანიზმი (ხელოვნური ფილტრი) გამოიყენება ფავორიტი მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით.

ჯერ-ჯერობით საზოგადოებისთვის კვლავ დახურულია დისციპლინური სამართალწარმოება. მართალია, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, მოსამართლეს მიეცა დისციპლინური სხდომების გასაჯაროების უფლება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ უფლებით არავის უსარგებლია.

პრობლემურია დისციპლინური გადაწყვეტილებების გასაჯაროების საკითხი. დისციპლინური

12 იხ. <https://m.facebook.com/HighCouncilofJusticeofGeorgia/photos/a.525314530884940/1383453421737709/?type=3>

13 როგორც დისციპლინური პრაქტიკა ადასტურებს, ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები ისჯებოდნენ უბრალო სამართლებრივი შეცდომების გამო, რასაც არ გამოუწვევია რაიმე ზიანი მხარის მიმართ. სახეზეა ასევე მკაფიო მაგალითები, როდესაც მოსამართლეები ისჯებოდნენ პოლიტიკური დაუმორჩილებლობის გამო (იხ. მაგ. ე.წ. „მეამბოხე მოსამართლეების“ შემთხვევა. <https://old.civil.ge/eng/article.php?id=11416> . ამის მიუხედავად, 2012 წლამდე და შემდეგ არსებული დისციპლინური სტატისტიკის შედარება აჩვენებს დისციპლინური პოლიტიკის მკაფიო ცვლილებას გადამეტებული დისციპლინიდან დისციპლინის ნაკლებობისაკენ. ამასთან ზოგ შემთხვევაში გამოყენებული სანქცია დაუსაბუთებლად მსუბუქია, მაგალითად საქმეზე 2/01-2020 რომელშიც მოსამართლემ განიხილა კერძო საჩივარი საქმეზე სადაც მისი მეუღლე იყო მხარის წარმომადგენელი, სადისციპლინო კოლეგიამ სანქციის სახით გამოიყენა კერძო სარეკომენდაციო ბარათი. <http://dcj.court.ge/uploads/gadackvetilebebi/123.pdf>

14 უფლებები საქართველო, „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2020 (დაფინანსებულია აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის – USAID/PROLOG ის მიერ.

გადაწყვეტილებები ქვეყნდება დაშტრიხული სახით, რაც ართულებს მათ წაკითხვასა და გააზრებას. გარდა ამისა, მოსამართლის ანონიმურობა ხელს არ უწყობს სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას. ამიტომ, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების მოსამართლეთ კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სრულად გამოქვეყნდეს.

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს წევრების თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ იმპიჩმენტით არის შესაძლებელი<sup>15</sup>. ხოლო საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 2018 წლის 21 ივლისს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, დისციპლინური გადაცდომა არ შეიძლება გახდეს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი<sup>16</sup>.

შესაბამისად, საქართველოში მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ორკვალიანი სისტემა, რომლითაც მძიმე დისციპლინური გადაცდომისთვის ყველა მოსამართლე შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან გარდა უზენაესი სასამართლოს წევრისა. აღნიშნული მიდგომა პრობლემურია, ვინაიდან, ერთი მხრივ, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს მოსამართლეთა გარკვეულ ჯგუფს და, მეორე მხრივ, ეფექტურობას უკარგავს დისციპლინურ სისტემას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართებაში. ჩვენთვის უცნობია საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანა, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გათავისუფლება შეუძლებელი იქნება მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

იმის გამო, რომ სადისციპლინო ორგანოების შერჩევის მექანიზმები კლანის ხელშია თავმოყრილი და არ არსებობს კანდიდატის კეთილსინდისიერების შემოწმების სანდო მექანიზმი, შესაძლოა გათვალისწინებული იქნას უკრაინული გამოცდილება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში საზოგადოების მონაწილეობას საზოგადოებრივი კეთილსინდისიერების საბჭოს სახით (Public Integrity Council)<sup>17</sup>. მსგავსი მექანიზმი შეიძლება მიღებულ იქნეს დამოუკიდებელი ინსპექტორის და დისციპლინური ორგანოების წევრების შერჩევისას.

15 საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

16 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 43-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილის თანახმად დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არ შეიძლება გახდეს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

17 იხ. <https://newjustice.org.ua/en/partners/public-integrity-council/>



## 2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა – საერთაშორისო სტანდარტები

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის საერთაშორისო სტანდარტები მოცემულია როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ ინსტრუმენტებში, რომელთა უმრავლესობა სარეკომენდაციო ხასიათისაა. საერთაშორისო სტანდარტები ეხება როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, ასევე დისციპლინურ პროცესს. საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს შორის, შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ შემდეგი დებულებები:

- დისციპლინური პასუხისმგებლობა სამოსამართლო ქცევის წინასწარ დადგენილ სტანდარტებს უნდა დაეფუძნოს<sup>18</sup>;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები საკმარისი სიზუსტით უნდა იქნას ფორმულირებული, რაც შეამცირებს თვითნებობის და სუბიექტივიზმის რისკებს<sup>19</sup>;
- მიზანშეწონილია არსებობდეს საკონსულტაციო ორგანო მოსამართლეთათვის, რომელთან მიმართვის შემთხვევაში, მოსამართლეებს შეეძლება განმარტებების მიღება დისციპლინური გადაცდომების საკითხებზე<sup>20</sup>;
- სასამართლო შეცდომა შეიძლება გახდეს დისციპლინური დევნის საგანი მხოლოდ მაშინ, თუ ჩადენილია არაკეთილსინდისიერად, მხარის სასარგებლოდ ან საზიანოდ ან უხეშო გაუფრთხილებლობით<sup>21</sup>;
- მოსამართლის მიერ პროფესიული ქცევის მოთხოვნის დარღვევა შეიძლება იმ შემთხვევაში გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, როცა ის იმდენად მძიმეა, რომ ამართლებს დისციპლინური სანქციის დაკისრებას<sup>22</sup>;
- მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საჩივრის შეტანა უნდა შეეძლოს ყველას, ვისაც აქვს პრეტენზია, რომ განიცადა ზიანი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შედეგად<sup>23</sup>;
- მომჩივანს უნდა ეცნობოს მის მიერ შეტანილი დისციპლინური საჩივრის განხილვის შედეგები<sup>24</sup>;
- ორგანოს, რომელიც აწარმოებს დისციპლინური საქმის გამოძიებას, უნდა შეეძლოს, რომ აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრები საწყის ეტაპზე გაცხრილოს<sup>25</sup>;

18 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე: პარ. 19 Disciplinary action should be determined under established standards of judicial conduct,

19 ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნა მოლდოვას მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე (2014) პარ. 16

20 OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, 2018

21 გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ადვოკატებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის თაობაზე, 2020. <https://undocs.org/A/75/172>

22 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15

23 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15

24 სტამბულის დეკლარაცია სამოსამართლო პროცესის გამჭვირვალობის თაობაზე, 2015, პარ. 15

25 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15.3

- საწყის სტადიაზე, მოსამართლის საჩივრის განხილვა შეიძლება იყოს კონფიდენციალური ხასიათის, თუ ბრალდებული მოსამართლე არ მოითხოვს საჯაროობას<sup>26</sup>;
- გამოძიებას უნდა შეეძლოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი მტკიცებულებების მოპოვება<sup>27</sup>;
- წინასწარ უნდა იყოს გაწერილი გამოძიების, არსებითი განხილვისა და სანქციის დაკისრების ვადები<sup>28</sup>;
- დისციპლინური პროცესი უნდა წარიმართოს დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სამართლიანი პროცესის ყველა გარანტიით, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების და სანქციის გასაჩივრების უფლება<sup>29</sup>;
- ორგანო, რომელიც იხილავს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევისგან და ზეგავლენისგან<sup>30</sup>;
- აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დისციპლინურ პროცესში მხოლოდ საჩივრების რეფერირებით ან დისციპლინური პროცესის დაწყებით, მაგრამ არა ასეთ საჩივრების გადაწყვეტით<sup>31</sup>;
- დისციპლინურ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმის სამართლიანი და სრული განხილვა<sup>32</sup>, მათ შორის შეჯიბრებითობის და საშუალებათა თანასწორობის პრინციპები<sup>33</sup>;
- მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ ან კომისიამ, სადაც უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენენ<sup>34</sup>. ეს ორგანო ექსკლუზიურად მოსამართლეებისგან არ უნდა შედგებოდეს<sup>35</sup>. დისციპლინური სისტემა არ უნდა იქცეს მოსამართლეების კორპორატიული თვითდაცვის მექანიზმად<sup>36</sup>;
- მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა საჩივრდებოდეს დამოუკიდებელ ორგანოში<sup>37</sup>;

26 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე. 17, 1985. აგრეთვე მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 26.

27 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 6

28 ENCJ, Minimum Standards for Disciplinary Liability of Judges and Prosecutors, p. 29.

29 ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC 2010-12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და პასუხისმგებლობების თაობაზე, პარ. 69

30 ENCJ, Minimum Standards for Disciplinary Liability of Judges and Prosecutors, p. 30.

31 IBA Minimum Standards of Judicial Independence, file:///C:/Users/GeoComputers/Downloads/IBA\_Resolutions\_Minimum\_Standards\_of\_Judicial\_Independence\_1982.pdf

32 მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 28

33 OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ 41.

34 იხ. აგრეთვე მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 26

35 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 9 აქვე მითითებულია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ორგანოს არ უნდა აკონტროლებდეს აღმასრულებელი ხელისუფლება, ან არსებობდეს პოლიტიკური ზეგავლენა მის საქმიანობაზე

36 They should avoid self interest or self protection, See ENCJ Standards for disciplinary liability of judges and prosecutors, <https://www.encj.eu/node/257> p. 18.

37 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე: პარ.20

- მოსამართლის მიმართ შეფარდებული დისციპლინური სანქცია უნდა იყოს პროპორციული<sup>38</sup>. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ან უფლებამოსილების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი უნარის ან ქცევის გამო, ის არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას<sup>39</sup>;

დისციპლინურ სისტემებთან დაკავშირებით, საკმაოდ მოცულობითია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უახლესი პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, მოსამართლეთა წინააღმდეგ მიმართულ სამართალწარმოებაზე ვრცელდება ევროკონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო) დადგენილი გარანტიები<sup>40</sup>.

38 მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია, პარ. 5.1.

39 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე: პარ. 18

40 იხ. მაგ. ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Oleksandr Volkov v. Ukraine), განაცხადი no. 21722/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება.



## 3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში

### 3.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ევროპის ქვეყნებში დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი, როგორც წესი, ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტით არის გათვალისწინებული. ზოგ ქვეყანაში ეს ჩამონათვალი ძალიან დეტალურია, ხოლო ზოგან ძალიან მწირი.

მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა 30-ზე მეტ დისციპლინურ გადაცდომას იცნობს<sup>41</sup>.

ამისგან განსხვავებით, უნგრეთის კანონმდებლობა მხოლოდ 2 დისციპლინურ გადაცდომას ითვალისწინებს:

- ა. მოსამართლე არღვევს ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მისი შრომითი ურთიერთობებიდან ბ. მოსამართლის ცხოვრების სტილი და ქცევები ზიანს აყენებენ სასამართლო ხელისუფლების პრესტიჟს<sup>42</sup>.

შესასწავლი ქვეყნების კანონმდებლობაში მოცემული დისციპლინური გადაცდომები შესაძლოა 2 დიდ ჯგუფად დავყოთ:

■ გადაცდომები, რომლებიც ჩადენილია საქმის განხილვის პროცესში;

■ გადაცდომები, რომლებიც ჩადენილია საქმის განხილვის გარეთ.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი.

- ა. გადაცდომები, რომლებიც ჩადენილია საქმეთა განხილვის პროცესში.

#### 3.1.1. მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ან კანონის სხვაგვარი დარღვევა საქმის განხილვისას.

ასეთი კატეგორიის დისციპლინურ გადაცდომას იცნობს აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა. აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნება: მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა (სლოვაკეთი)<sup>43</sup>, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა სამოტივაციო ნაწილის გარეშე, ან გადაწყვეტილებაში დავისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტის არ ასახვა (უკრაინა)<sup>44</sup>, საპროცესო აქტის შედგენა, რომლის სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები ეწინააღმდეგება ერთმანეთს<sup>45</sup> (იტალია); საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპის დარღვევა (უკრაინა<sup>46</sup>); მოსა-

41 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014 <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

42 Act CLXII of 20.11 on the Legal Status and Remuneration of Judges (hereinafter: Legal Status of Judges Act)

43 სლოვაკეთი: causing failure to meet or infringement of obligations of Judge, ალბანეთი, მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ კანონი, მუხ. 102.1. იხ. აგრეთვე ჩრდილოეთ მაკედონიის სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 74 <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ResponsesDCCLJ.aspx>

44 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of 'disguised' sanctions

45 კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014

46 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of 'disguised' sanctions, <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

მართლის მიერ კანონის განზრახ დარღვევა, რამაც ზიანი მოუტანა მხარეს (სლოვაკეთი)<sup>47</sup>; კანონის აშკარა და უხეში დარღვევა (პოლონეთი)<sup>48</sup>; მოსამართლის მიერ მხარისათვის მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი (უკრაინა)<sup>49</sup>; მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპის დარღვევა მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენაში ხელის შეშლა (უკრაინა)<sup>50</sup>; ბრალდებულისა და პროცესის სხვა მონაწილეების უფლებების განხორციელებაში ხელის შეშლა (უკრაინა)<sup>51</sup>; საქმის განხილვისას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, რამაც ნეგატიური შედეგი გამოიწვია (უკრაინა<sup>52</sup>); მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან დაუდევარი შესრულება (ლიეტუვა<sup>53</sup>); მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის განუხილველობა, რის გამოც გავიდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა (ჩრდილოეთ მაკედონია)<sup>54</sup>; მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოსამართლის აშკარა და სერიოზულ არაკომპეტენტურობას მიუთითებს (მოლდოვა)<sup>55</sup>.

აშშ-ის შეერთებულ შტატებში აპრობირებულია legal error plus-ის დოქტრინა, რომლის თანახმადაც, სამოსამართლო შეცდომა შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ ის ჩადენილია არაკეთილსინდისიერად, არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას, არის სისტემატური ხასიათის ან გამოუსწორებადი<sup>56</sup>.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი შეიცავდა მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომას „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“, რაც ამოღებული იქნა 2019 წლის 13 დეკემბრის ცვლილებით. 2013 წლამდე აღნიშნული ნორმით ისჯებოდა ასევე ჩვეულებრივი სამოსამართლო შეცდომები, ხოლო 2013 წლიდან სადისციპლინო კოლეგიამ დაწერა ახალი მიდგომა, რომლითაც შეზღუდა ამ ნორმის გამოყენება (ამერიკული “legal error plus” დოქტრინის გავლენით).

### 3.1.2. საქმის განხილვის გაჭიანურება

ამ კატეგორიის გადაცდომებს მიეკუთვნება საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება (იხ.: მაგ., უკრაინა), ასევე, გადაწყვეტილებათა გამოტანის დაყოვნება (მაგ., სერბეთი)<sup>57</sup>.

47 სლოვაკეთი: arbitrary decision of Judge, which is in contradiction with law, if by such decision Judge caused considerable damage or another especially serious consequence. ასევე კანონის განზრახ აშკარა დარღვევა (ლიტვა)

48 პოლონეთი: obvious and gross violation of legal provisions, OHCHR Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions: report, <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

49 იქვე, უკრაინა

50 იქვე, უკრაინა

51 იქვე, უკრაინა

52 იქვე მსგავსი სახის გადაცდომას ითვალისწინებს მოლდოვას კანონმდებლობა. იხ. მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 14 [https://www.legis.md/cautare/getResults?doc\\_id=106165&lang=ro](https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=106165&lang=ro)

53 ლიეტუვა, ეთიკისა და დისციპლინის კომისიის დებულება, მუხ. 17.1.1.

54 ჩრდილოეთ მაკედონიის კანონი სამოსამართლო საბჭოს შესახებ, მუხ. 76.

55 მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 14, [https://www.legis.md/cautare/getResults?doc\\_id=106165&lang=ro](https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=106165&lang=ro)

56 იხ. წიქარიშვილი კ. განსხვავება მოსამართლის შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის, 2014, <http://dcj.court.ge/uploads/Articles/differencebetweenlegallerrorandjudicialmisconduct.pdf>

57 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx> იხ აგრეთვე სერბეთის კანონი მოსამართლეთა შესახებ, მუხ. 90.



საქართველოში საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>1</sup> თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო;

როგორც „უფლებები საქართველოს“ 2021 წლის ანგარიშშია აღნიშნული, დისციპლინური გადაცდომა არა საპროცესო, არამედ გონივრულ ვადებზე უნდა იყოს მიბმული. ერთი მხრივ, საქმის წარმოება შეიძლება გაჭიანურდეს კონკრეტული საპროცესო ვადის ფარგლებში და, მეორე მხრივ, თავად საპროცესო ვადებიც, ზოგ შემთხვევაში, არაგონივრულია (მაგ., ერთთვიანი განხილვის ვადა შრომით დაგეგმვაზე, რაც არ არის გონივრული), რის გამოც ისინი ხშირად ირღვევა<sup>58</sup>.

### **3.1.3. სხდომებზე ხშირი დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, ასევე სამსახურში სისტემატურად გამოუცხადებლობა (მოლდოვა, სერბეთი)<sup>59</sup>.**

#### **3.1.4. პროფესიული საიდუმლოების დარღვევა.**

ამ კატეგორიის გადაცდომას მიეკუთვნება საქმის განხილვის დროს თათბირის საიდუმლოების და კანონით დაცული სხვა საიდუმლოების დარღვევა (უკრაინა, ალბანეთი)<sup>60</sup>; კანონით დაცული პერსონალური მონაცემების გამჟღავნება (ხორვატია)<sup>61</sup>.

#### **3.1.5. მოსამართლის მიერ საქმის განაწილების წესის დარღვევა<sup>62</sup>.**

#### **3.1.6. მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა.**

მოსამართლის მიერ საქმეზე მიკერძოების გამოვლენა (სლოვაკეთი, კოსოვო)<sup>63</sup>, ან განზრახ მიკერძოება (სლოვაკეთი, ალბანეთი)<sup>64</sup>. მოსამართლის მიერ აცილების (თვითაცილების) წესების დარღვევა (უკრაინა, ალბანეთი, სერბეთი)<sup>65</sup>.

58 უფლებები საქართველო, „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2020 (დაფინანსებულია აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის – USAID/PROLOG ის მიერ.

59 სერბეთი, კანონი მოსამართლეთა შესახებ, მუხ. 90. ასევე, სამსახურში გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოს საქმიანობას, იხ. მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 14, [https://www.legis.md/cautare/getResults?doc\\_id=106165&lang=ro](https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=106165&lang=ro)

60 უკრაინა, OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions: <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>; იხ. ასევე, ალბანეთი ალბანეთი, მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ კანონი, მუხ. 102.1

61 ხორვატიის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 62.9. <https://www.zakon.hr/z/127/Zakon-o-Dr%C5%BEavnom-sudbenom-vije%C4%87u>

62 სლოვაკეთი: infringement of lawful conditions of random case assignment to panels, Judges, and court clerks, and of random redistribution of cases already assigned

63 სლოვაკეთი, Section 116 para 1 letter: actions, which evoke valid doubt about independence and impartiality of Judge during decision-making, about non-bias against parties to the proceedings

64 სლოვაკეთი: Section 116 para 1 letter a) of Act on Judges: wilful infringement of obligation of Judge to rule independently and without bias. იხ. ალბანეთი, მოსამართლის მოვალეობის დარღვევით მხარისათვის უსამართლო უპირატესობის მინიჭება ან არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება: ალბანეთის კანონი მოსამართლეების და პროკურორების სტატუსის შესახებ, მუხ. 102.1 (გ).

65 OHCHR უკრაინა; ასევე, ალბანეთი, სათანადო საფუძვლების არსებობისას საქმის აცილებაზე უარი, ასევე საქმის დაუსაბუთებელი თვითაცილება, ალბანეთის კანონი მოსამართლეების და პროკურორების სტატუსის შესახებ, მუხ. 102.1.ა. და ბ). იხ აგრეთვე სერბეთის კანონი მოსამართლეთა შესახებ, მუხ. 90.

- 3.1.7. მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას მის საქმიანობაში უკანონო ჩარევის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის შეუტყობინებლობა (უკრაინა)<sup>66</sup>.
- 3.1.8. სხვა მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში უკანონო ჩარევა (უკრაინა, ალბანეთი, მაკედონია, კოსოვო)<sup>67</sup>.
- 3.1.9. მიმდინარე საქმის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება (ალბანეთი, კოსოვო)<sup>68</sup>.
- 3.1.10. მოსამართლის მივლინების ან გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა<sup>69</sup>.
- 3.1.11. სასამართლო გადაწყვეტილებებში უსარგებლო ან უადგილო, უგნური, ან აშკარად შეურაცხმყოფელი ან უპატივცემულო გამოთქმების გამოყენება (ესპანეთი<sup>70</sup>).

**ბ. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის გარეთ ჩადენილი გადაცდომები**

- 3.1.12. მოსამართლის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება უკანონოდ მატერიალური ან სხვა სარგებლის მისაღებად (უკრაინა, მოლდოვა, კოსოვო)<sup>71</sup>.
- 3.1.13. ფინანსური დეკლარაციის წარმოდგენლობა (სლოვაკეთი)<sup>72</sup>, ან არასწორი მონაცემების შეტანა (ჩრდილო მაკედონია)<sup>73</sup>.
- 3.1.14. მოსამართლის უუნარობა დაასაბუთოს შეძენილი ქონება შემოსავალთან პროპორციაში (სლოვაკეთი)<sup>74</sup>.
- 3.1.15. სამსახურში გამოსცხადება ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში (სლოვაკეთი)<sup>75</sup>.

66 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions

67 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions; ალბანეთის კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების სტატუსის შესახებ, მუხ. 102.1; იხ. აგრეთვე მაკედონია, სასამართლოს შესახებ კანონი, მუხ. 75; კოსოვოს კანონი მოსამართლეების და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 5. <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FC EE-407B-B070-C1105A070746.pdf>

68 ალბანეთი, მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ კანონი, მუხ. 102.1, იხ. აგრეთვე კოსოვოს კანონი მოსამართლეების და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 5. <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FC EE-407B-B070-C1105A070746.pdf>

69 სლოვენია, კანონი სამოსამართლო სამსახურის შესახებ, მუხ. 81.

70 კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014

71 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of ‘disguised’ sanctions; იხ. აგრეთვე მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 14, [https://www.legis.md/cautare/getResults?doc\\_id=106165&lang=ro](https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=106165&lang=ro) იხ. აგრეთვე კოსოვო, კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 5 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FC EE-407B-B070-C1105A070746.pdf>

72 სლოვაკეთი, Section 116 para 1 letter a) of Act on Judges: failure to meet the obligation of lodging asset declaration pursuant to Section 32 para 1 even within deadline laid down in Section 33 para 1

73 ჩრდილოეთ მაკედონია, სასამართლოს შესახებ კანონი, მუხ. 75. ,

74 სლოვაკეთი: Section 116 para 1 letter a) of Act on Judges: inability of Judge to provide a trustworthy proof of property increase, which obviously exceeds the sum of his salaries and other quantified incomes,

75 სლოვაკეთი: Section 116 para 1 letter a) of Act on Judges.

- 3.1.16. დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელის შეშლა (იტალია, ესპანეთი)<sup>76</sup>. ახსნა განმარტების წარმოუდგენლობა (კოსოვო)<sup>77</sup>.
- 3.1.17. სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობების შეუსრულებლობა (ალბანეთი)<sup>78</sup>.
- 3.1.18. მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა (პოლონეთი, ლიეტუვა)<sup>79</sup>.
- 3.1.19. მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს (პოლონეთი, უკრაინა)<sup>80</sup>.
- 3.1.20. მოსამართლის პოლიტიკურ აქტივობაზე დაწესებული შეზღუდვების დარღვევა (ლიეტუვა, კოსოვო)<sup>81</sup>.
- 3.1.21. კვალიფიკაციის ამოღების კურსის გავლაზე უარი (ალბანეთი, ბოსნია, მაკედონია)<sup>82</sup>.
- 3.1.22. მოსამართლის მიერ სხვათა უპატივცემლობა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს (რუმინეთი, ბოსნია, ალბანეთი)<sup>83</sup>.
- 3.1.23. ცრუ ინფორმაციის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში (ბოსნია, ესპანეთი)<sup>84</sup>.
- 3.1.24. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დარღვევა (ლიეტუვა<sup>85</sup>, სერბეთი<sup>86</sup>).

პოლონეთის კანონმდებლობით, მოსამართლემ შეიძლება პასუხი აგოს სამოსამართლო თანამდებობის დაკავებამდე ჩადენილი ქცევისთვისაც, რომელიც არღვევს საჯარო მოხელის ქცევის წესებს ან, რის გამოც მოსამართლე შეუფერებელია მისი თანამდებობისთვის<sup>87</sup>.

პოლონეთში დისციპლინურ პასუხისმგებლობას ექვემდებარება მოსამართლე ასევე პენსიაში გასვლის შემდეგაც, სამოსამართლო უფლებამოსილების დროს ჩადენილი გადაცდომისთვის,

76 მსგავსი გადაცდომა გვხვდება იტალიის და ესპანეთის კანონმდებლობაში. <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

77 იხ. კოსოვოს კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 5 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf>

78 ალბანეთი, მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ კანონი, მუხ. 102.1

79 პოლონეთი: public activity that cannot be reconciled with the principles of judicial independence; იხ. აგრეთვე ლიტვის სასამართლოს შესახებ კანონი, მუხ. 83

80 პოლონეთი: offending dignity of a judicial office; იხ. აგრეთვე უკრაინა OHCHR

81 ლიტვის კანონი სასამართლოების შესახებ, მუხ. 83 <https://www.infolex.lt/ta/122442:str83> კოსოვოს კანონი მოსამართლეთა და პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 5 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf>

82 OHCHR უკრაინა; იხ. აგრეთვე ალბანეთი, ალბანეთი, მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ კანონი, მუხ. 102.1 მსგავსი გადაცდომა აქვთ ასევე ბოსნიას და მაკედონიას <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

83 აღნიშნული მოიცავს კოლეგების, სასამართლო აპარატისა და საქმისწარნობაში მონაწილე პირთა მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულებას მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დროს. ამდაგვარი ჩანაწერი გვხვდება იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, ბოსნიის, ალბანეთის კანონმდებლობაში. <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

84 ასეთი კატეგორიის გადაცდომები გვხვდება მაგ. ესპანეთის და ბოსნიის კანონმდებლობაში <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

85 ეთიკისა და დისციპლინის კომისიის დებულება, მუხ. 17.2.

86 სამოსამართლო ეთიკის კოდექსის სერიოზული დარღვევა, იხ. სერბეთის მოსამართლეთა შესახებ კანონი, მუხ. 90.

87 პოლონეთი – conduct before taking office if the judge failed in the duty of a civil servant at that time or appeared unworthy to hold a judicial position; მსგავს შესაძლებლობას ასევე იცნობს ზოგიერთი აშშ – ის შტატის დისციპლინური სისტემა (Synthia Gray, How Judicial Conduct Commissions Work, 2004).

რომელმაც ზიანი მოუტანა სასამართლოს რეპუტაციას<sup>88</sup>. ესტონეთის კანონმდებლობით, დისციპლინური გადაცდომის ჩადენა შეუძლია ასევე ყოფილ მოსამართლეს – პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნების შემთხვევაში<sup>89</sup>.

### 3.2. დისციპლინური სანქციები

დისციპლინური სანქციები, პირობითად, იყოფა: ვერბალურ სანქციებად, ფინანსურ სანქციებად, კარიერასთან დაკავშირებულ სანქციებად.

ყველა მოწინავე ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ისეთ სანქციებს, რომლითაც ხდება მოსამართლის ქმედების ნეგატიური შეფასება სხვა დამატებითი სამართლებრივი შედეგების გარეშე, (შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, გაფრთხილება).

რაც შეეხება ფინანსურ სანქციებს, ასეთი შეიძლება იყოს ჯარიმა (გერმანია, ესპანეთი) ან ხელფასიდან დაქვითვა (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, მონტენეგრო, კოსოვო, რუმინეთი, სერბეთი, ხორვატია)<sup>90</sup>. ესტონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ტიპის სანქციას: როგორც ჯარიმას, ასევე ხელფასიდან დაქვითვას<sup>91</sup>.

რაც შეეხება კარიერასთან დაკავშირებულ სანქციებს, ამ ჯგუფში მოიაზრება სანქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსამართლის უფლებამოსილებებზე ან მის კარიერაზე, ასეთია მაგალითად, სხვა სასამართლოში გადაყვანა (ბოსნია, ალბანეთი, გერმანია, ესპანეთი<sup>92</sup>), რანგის დაქვეითება (ბულგარეთი), სამუშაო სტაჟის შემცირება (იტალია), დაწინაურების შეზღუდვა გარკვეული ვადით (სერბეთი), თავმჯდომარის ან, ზოგადად, ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლება (მაგ., იტალია, ბოსნია), უფლებამოსილების შეჩერება (ესპანეთი, ნიდერლანდები), იძულებით პენსიაში გასვლა (პორტუგალია) დაბოლოს – სამსახურიდან დათხოვნა<sup>93</sup>.

### 3.3. დისციპლინურ საქმეთა მოკვლევის და არსებითი განხილვის ორგანოები

#### 3.3.1. მოკვლევის ორგანოები

დისციპლინური საქმის მოკვლევის ორგანოებთან დაკავშირებით, რაიმე მინიმალური საერთაშორისო სტანდარტი არ არსებობს. დისციპლინური საქმეების მოკვლევას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა უწყება ახორციელებს. ეს უწყება შეიძლება იყოს როგორც სასამართლოს შიგნით, ასევე მის გარეთ. მაგალითად, ჩეხეთში დისციპლინური საქმის მოკვლევას იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს, ხოლო რუმინეთში, უკრაინასა და მოლდოვაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ევროსაბჭოს მასტაბით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) რეკომენდაციას უწევს ისეთი ორგანოს არსებობას, რომელიც მიიღებს საჩივრებს, შეაფასებს მათ დასაბუთებულობას და შეადგენს დასკვნას დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ან უარის თქმის თაობაზე<sup>94</sup>.

88 მსგავს შესაძლებლობას ასევე იცნობს ზოგიერთი აშშ-ის შტატის დისციპლინური სისტემა (Synthia Gray, How Judicial Conduct Commissions Work, 2004).

89 ესტონეთის კანონი სასამართლოს შესახებ, მუხ. 88.2, <https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/514022014001/consolide>

90 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014

91 ესტონეთის კანონი სასამართლოების შესახებ, მუხ. 88

92 პოლონეთში დისციპლინური სანქცია ასევე არის მოსამართლის იძულებითი მივლინება

93 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014

94 CCJE Opinion N. 3 on ethics and responsibility of judges, 2002.



აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში დისციპლინური საქმის წინასწარ შესწავლას (მოკვლევას) ერთი კონკრეტული თანამდებობის პირი აწარმოებს (პროკურორი, ინსპექტორი, გამომძიებელი, კომისიონერი, მოსამართლე და სხვ). თუმცა ასევე გვხვდება მოდელი, როდესაც საქმის მოკვლევას კოლექტიური ორგანო აწარმოებს. მაგალითად, ხორვატიაში, სადაც საქმეს იკვლევს სასამართლო საბჭოს მიერ დანიშნული 3 სხვადასხვა წევრისგან დაკომპლექტებული სადისციპლინო კომიტეტი, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოსამართლე<sup>95</sup>. მსგავსი მოდელია კოსოვოში, სადაც იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით, თითოეულ საქმეზე ad hoc იქმნება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია<sup>96</sup>. საფრანგეთში დისციპლინურ გამოძიებას მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ის წევრი აწარმოებს, რომელიც ინიშნება მომხსენებლად ამ საქმეზე<sup>97</sup>.

ზოგიერთ ქვეყნებს, მაგალითად ესტონეთს, კოსოვოს, ლიეტუვას, ლატვიას არ ჰყავთ სპეციალიზებული მოხელე, რომელიც მხოლოდ დისციპლინური საქმის მოკვლევით იქნება დაკავებული.

იმ ქვეყნებში, სადაც დისციპლინური საქმის მოკვლევას სპეციალური თანამდებობის პირი აწარმოებს, ეს შეიძლება იყოს ერთი მოხელე (მაგ. სერბეთი, სლოვენია) ან მრავალი (მაგ., პოლონეთი).

ზოგადად უნდა ითქვას, სრომ ერთი მოხელის ხელში დისციპლინური საჩივრების მიღების მონოპოლიზება კეტავს დისციპლინურ წარმოებას და ქმნის სისტემის ბოროტად გამოყენების საფრთხეს, თუმცა მრავალი პირის ან ორგანოს ხელში საჩივრების მიღება ქმნის არათანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბების საფრთხეს.

მომკვლევე პირი შეიძლება იყოს როგორც მოსამართლე (მაგ., ესპანეთი, პოლონეთი, სლოვენია), ასევე არამოსამართლე (რუმინეთი, მოლდოვეთი)<sup>98</sup>.

ლატვიაში წინასწარ შემოწმებას იწყებენ იუსტიციის მინისტრი და სასამართლოს თავმჯდომარეები და თავადვე ატარებენ წინასწარ მოკვლევას და ახსნა-განმარტების ჩამორთმევას<sup>99</sup>.

ესტონეთში დისციპლინურ საქმისწარმოებას იწყებენ და მოკვლევას ახორციელებენ სასამართლოს თავმჯდომარეები<sup>100</sup>.

ალბანეთში დისციპლინური საქმის მოკვლევას ახორციელებს ინსპექტორების სამსახური. ინსპექტორებს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჯარო კონკურსის საფუძველზე. ინსპექტორების შერჩევა ხდება მოსამართლეებისგან, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, მინიმუმ 5-წლიანი სამოსამართლო გამოცდილების მქონე ადვოკატებისგან<sup>101</sup>. მოსამართლეს ინსპექტორად მუშაობის წლები ეთვლება სამოსამართლო საქმიანობის სტაჟში<sup>102</sup>. ინსპექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, მას აქვს უფლება კონკურსის გარეშე დაინიშნოს კვლავ მოსამართლედ<sup>103</sup>. ინს-

95 <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>; აგრეთვე, ხორვატიის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 67, <https://www.zakon.hr/z/127/Zakon-o-Dr%C5%BEavnom-sudbenom-vije%C4%87u> მსგავსი მოდელი მოქმედებს ჩრდილოეთ მაკედონიაში, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისგან თითოეულ საქმეზე იქმნება სამკაცციანი კომიტეტი წილისყრით (ჩრდილოეთ მაკედონიის სამოსამართლო საბჭოს შესახებ კანონი, მუხ. 63, OHCHR)

96 კოსოვოს კანონი მოსამართლეების და პროკურორების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხ. 12, <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf>

97 [https://www.courdecassation.fr/IMG/File/pdf\\_2007/publications\\_2007/responsabilite\\_juges.pdf](https://www.courdecassation.fr/IMG/File/pdf_2007/publications_2007/responsabilite_juges.pdf)

98 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014 ; იხ. აგრეთვე სლოვენის კანონი მართლმსაჯულების საბჭოს შესახებ, მუხ. 39.

99 <https://likumi.lv/ta/en/en/id/57677-judicial-disciplinary-liability-law> Section 3.

100 ესტონეთის კანონი სასამართლოს შესახებ, მუხ. 91.

101 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 14 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

102 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 15 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

103 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 15 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

პექტორები ინიშნებიან 5-წლიანი პერიოდით და შესაძლებელია მათი გადანიშნა<sup>104</sup>.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსპექტორების სამსახური არსებობს რუმინეთშიც, სადაც ინსპექტორები ასევე მოსამართლეებისგან შეირჩევიან. სამსახურში შედის 32 ინსპექტორი, ხოლო სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი ინსპექტორი<sup>105</sup>. მსგავსი მოდელი არსებობს სერბეთში, სადაც დისციპლინური საქმის მოკვლევას ახორციელებს დისციპლინური პროკურორი, ან დისციპლინური პროკურორის მოადგილე, რომლებსაც ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>106</sup>. ასევე მსგავსი სამსახური არსებობს მოლდოვაში, რომელიც ასევე შედგება მთავარი ინსპექტორისა და ინსპექტორებისგან<sup>107</sup>.

ალბანეთში მთავარი ინსპექტორი და ინსპექტორები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გადიან შეფასებას, რომლის წესებსაც განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>108</sup>. ალბანეთში დისციპლინური ინსპექტორატის სამსახური, დისციპლინური საკითხების გარდა, მოსამართლის პროფესიულ შეფასებასაც ახორციელებს<sup>109</sup>.

ალბანეთში ინსპექტორები ასევე *ex officio* ამოწმებენ მოსამართლეთა ფინანსურ დეკლარაციებს და მათ კანონთან შესაბამისობას<sup>110</sup>.

ალბანეთში იუსტიციის მინისტრიც ახორციელებს სასამართლოების ინსპექტირებას როგორც საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით<sup>111</sup>.

უნგრეთში დისციპლინური საქმის წინასწარ მოკვლევას აწარმოებს დისციპლინური კომისიონერი, რომელიც ინიშნება დისციპლინური სასამართლოს მიერ თავისივე წევრებისგან<sup>112</sup>.

პოლონეთში დისციპლინური საქმის მოკვლევას აწარმოებენ დისციპლინური ოფიცრები, რომლებსაც ნიშნავს იუსტიციის მინისტრი 4 წლის ვადით<sup>113</sup>.

კალიფორნიაში დისციპლინური საქმის მოკვლევას ზედამხედველობს სამოსამართლო ქცევის კომისიის დირექტორი, ხოლო მოკვლევას ახორციელებენ მის დაქვემდებარებაში მყოფი იურისტები<sup>114</sup>.

ლიეტუვაში დისციპლინურ მოკვლევას ატარებენ ეთიკისა და დისციპლინის კომისიის წევრები. კომისია 7 წევრისგან შედგება, საიდანაც 4 მოსამართლე წევრს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხოლო 3 არამოსამართლე წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე<sup>115</sup>. კომისიის თავმჯდომარეს ასევე შეუძლია საქმის მოკვლევა დაავალოს მოსამართლის ადგილსამყოფელის მიხედვით შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს<sup>116</sup>.

2017 წლამდე საქართველოში მოქმედებდა მოდელი, რომლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ან საბჭოს სხვა წევრი, ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელე – მდივნის დავალდებით ამოწმებდა დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობას. საქართველოში 2017 წელს გატარებული საკანონმდებლო

104 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 15 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

105 <http://newjustice.org.ua/wp-content/uploads/2018/10/Georgiana-Disciplinary-liability-of-judges-in-Romania-ENG.pptx>

106 სერბეთი, კანონი მოსამართლეთა შესახებ, მუხ. 93.

107 კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხ. 21.

108 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 14 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

109 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 16 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

110 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 15 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

111 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 16 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

112 OHCHR Hungary,

113 პოლონეთის კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 112

114 [https://cjp.ca.gov/organization\\_budget/](https://cjp.ca.gov/organization_budget/)

115 ლიტვა, სასამართლო ეთიკისა და დისციპლინის კომისიის დებულება.

116 ლიეტუვას სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინის კომისიის დებულება, მუხ. 22.6

რეფორმის შედეგად, დისციპლინურ საქმეზე საჩივრების მიღებისა და დისციპლინური საქმის გამოკვლევის/წინასწარი შემოწმების ფუნქცია გადაეცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს, რომელსაც სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>117</sup>. დამოუკიდებელ ინსპექტორსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის ფუნქციები გაყოფილია, დამოუკიდებელი ინსპექტორი ახორციელებს გამოძიების, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო – დევნის ფუნქციას<sup>118</sup>.

საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის უმრავლეს ქვეყნებში არ არსებობს დაყოფა ბრალდებისა და მოკვლევის ფუნქციებს შორის და ბრალდების ფუნქციას ასრულებს იგივე ორგანო, რომელიც ახორციელებს მოკვლევას.

### 3.3.2. დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის ორგანოები

დისციპლინური საქმეების არსებითად განმხილველი ორგანოების თვალსაზრისით, ერთმანეთისგან შეიძლება გავარჩიოთ ორი მოდელი. 1. როდესაც საქმეს არსებითად იხილავს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო; ან – 2. საქმეს იხილავს საბჭოს გარეთ მდგომი ორგანო. პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ ქვეყნებში საქმეს იხილავს მართლმსაჯულების საბჭო სრული შემადგენლობით (ხორვატია) ან მისი სადისციპლინო კოლეგია (ბულგარეთი, ესპანეთი, მაკედონია, კოსოვო, რუმინეთი, საფრანგეთი)<sup>119</sup>.

ალბანეთში დისციპლინურ საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, პარლამენტის მიერ შერჩეული სამი წევრი და 9 მოსამართლე, რომლებსაც ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია<sup>120</sup>.

უკრაინაში დისციპლინურ საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური პალატა<sup>121</sup>. საინტერესო არის ის, რომ მომჩივანი წარმოადგენს მხარეს, რომელიც მონაწილეობს დისციპლინურ პალატაში საქმის განხილვისას<sup>122</sup>.

რაც შეეხება მეორე მოდელს: როდესაც საქმეს იხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარეთ მდგომი ორგანო, ის შეიძლება მთლიანად მოსამართლეებისგან შედგებოდეს ან მის შემადგენლობაში შედიოდნენ საზოგადოებრივი წევრებიც. ამ კუთხით, ალსანიშნავია მაგ., უნგრეთი, სადაც დისციპლინურ საქმეს არსებითად იხილავს დისციპლინური სასამართლო, რომელიც მთლიანად მოსამართლეებისგან შედგება, ხოლო მის წევრებს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>123</sup>. მსგავსი მოდელია სლოვენიაში, ოღონდ აქ დისციპლინური სასამართლოს 9 წევრიდან 6 არის სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლე, ხოლო 3 – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია.<sup>124</sup>

უნგრეთის მსგავსად, პოლონეთში დისციპლინურ საქმეებს არსებითად იხილავს დისციპლინური სასამართლო, რომლის წევრებს არჩევს იუსტიციის მინისტრი იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან კონსულტაციით.<sup>125</sup>

117 იხ. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 51<sup>1</sup> მუხლი.

118 ამის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია დამოუკიდებელ ინსპექტორს დაავალოს დამატებითი გამოკვლევის ჩატარება და მისცეს შესაბამისი მითითებები (საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მუხ. 75<sup>13</sup>).

119 <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

120 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 3 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

121 უკრაინის კანონი სამართალწარმოების და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, მუხ. 108.

122 უკრაინის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 49

123 OHCHR Report, Disciplinary measures against judges and the use of 'disguised' sanctions.

124 სლოვენის კანონი მართლმსაჯულების საბჭოს შესახებ, მუხ. 40.

125 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 110ა. დისციპლინური სასამართლოს მოსამართლეები ასევე ახორციელებენ სხვა სამოსამართლო უფლებამოსილებებს.



ესტონეთში დისციპლინურ საქმეს არსებითად იხილავს უზენაესი სასამართლოს დისციპლინური პალატა, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებისგან<sup>126</sup>. ამის მსგავსად, დისციპლინური კოლეგია მთლიანად მოსამართლეებისგან შედგება ლატვიაში, საიდანაც 4 არის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 7 არის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე<sup>127</sup>. ლატვიის თავისებურება არის ის, რომ იუსტიციის მინისტრს, ასევე გენერალურ პროკურორს, ასევე მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეს აქვთ უფლება სათათბირო ხმის უფლებით მიიღონ მონაწილეობა დისციპლინურ კოლეგიაში<sup>128</sup>

დისციპლინურ ორგანოებში საზოგადოების მონაწილეობა ემსახურება სასამართლოს საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის შენარჩუნებას, სასამართლოს ანგარიშვალდებულებას და კორპორატივიზმის თავიდან აცილებას<sup>129</sup>. მაგ., მოლდოვაში დისციპლინურ საქმეებს არსებითად იხილავს სადისციპლინო კოლეგია, რომელიც შედგება 9 წევრისგან. 5 მოსამართლე წევრი აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, ხოლო 4 არამოსამართლე წევრს კონკურსის საფუძველზე შეარჩევს იუსტიციის მინისტრი<sup>130</sup>.

ევროპული სტანდარტი, რომლის თანახმადაც, დისციპლინური საქმის არსებითად განმხილველ ორგანოში წევრების უმრავლესობა უნდა იყვნენ, არ არის უნივერსალური. მაგალითად, აშშ-ის შტატების უმრავლესობაში კომისიის წევრების უმრავლესობას არამოსამართლეები შეადგენენ. არამოსამართლე წევრებს ნიშნავს შტატის გუბერნატორი, ასევე, ადვოკატთა ასოციაცია<sup>131</sup>.

საქართველოში დისციპლინურ საქმეებს არსებითად იხილავს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 3 მოსამართლე და საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 2 არამოსამართლე წევრისგან შედგება<sup>132</sup>.

### 3.4. დისციპლინური პროცესი

#### 3.4.1. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევა საჭიროებს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე საჩივრების, განცხადებებისა და სხვა ინფორმაციის მიღებას, დისციპლინური საქმის გამოკვლევას და დასკვნის წარდგენას გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის.

რიგ ქვეყნებს (მაგ., ალბანეთი, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი) აქვთ მკაფიო საკანონმდებლო ჩანაწერი, რომლის თანახმად, ანონიმური საჩივრის საფუძველზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება არ დაიშვება<sup>133</sup>. ამისგან განსხვავებით, მონტენეგროში დისციპლინური განცხადება შეიძლება იყოს ანონიმური<sup>134</sup>. საქართველოში საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>5</sup> მუხლი ცალსახად გამორიცხავს ანონიმური საჩივრის საფუძველზე დისციპლინური წარმოების დაწყებას.

126 ესტონეთის კანონი სასამართლოს შესახებ, მუხ. 93

127 <http://at.gov.lv/en/tieslietu-padome/tiesnesu-pasparvaldes-institucijas/tiesnesu-disciplinarkolegija>

128 კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, ლატვია, მუხ. 2. <https://likumi.lv/ta/en/en/id/57677>

129 იხ. Guy Canivet, Responsabilite des Juges, ici et ailleurs, 2007. [https://www.courdecassation.fr/IMG/File/pdf\\_2007/publications\\_2007/responsabilite\\_juges.pdf](https://www.courdecassation.fr/IMG/File/pdf_2007/publications_2007/responsabilite_juges.pdf)

130 მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხ. 9-10.

131 იხ. ვიქტორია ჰენლის გამოსვლა საერთაშორისო მრგვალ მაგიდაზე, სასამართლო რეფორმები გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, 35:24 [https://drive.google.com/file/d/1H3j46uDmLb18n63nzpm-Rkc9Z9HH6G1l/view?fbclid=IwAR3obKqPZ-9MlfdFU5nfdHQIdxG7yBm80LkczGppnDAf0XGKi4kz-nm\\_aU](https://drive.google.com/file/d/1H3j46uDmLb18n63nzpm-Rkc9Z9HH6G1l/view?fbclid=IwAR3obKqPZ-9MlfdFU5nfdHQIdxG7yBm80LkczGppnDAf0XGKi4kz-nm_aU)

132 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>19</sup> მუხლი.

133 EN CJ, Minimum Standards for Disciplinary Liability of Judges and Prosecutors, p. 25

134 <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

რიგი ქვეყნები (შოტლანდია, ნორვეგია, იტალია, ირლანდია)<sup>135</sup> იცნობენ დისციპლინური საჩივრების საწყისი ფილტრის მექანიზმს, რომლის მიზანია ის, რომ არ მოხდეს რესურსების გაფლანგვა ან მოსამართლის შეწუხება აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრების გამო. აღნიშნული მექანიზმი საერთაშორისო სტანდარტებითაც არის გათვალისწინებული<sup>136</sup>. საქართველოში მსგავსი ფილტრის ფუნქციას დამოუკიდებელი ინსპექტორი ასრულებს. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>12</sup> მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს დისციპლინური საქმე, რიგი ფორმალური საფუძვლების არსებობისას. დაუსაბუთებელი საჩივრების არსებობის შემთხვევაში დისციპლინური წარმოების შეწყვეტა ასევე შეუძლია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც უფლება აქვს უარი განაცხადოს დისციპლინური დევნის დაწყებაზე<sup>137</sup>.

ზოგ ქვეყანაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას და საქმის წინასწარ მოკვლევას ერთი და იგივე ორგანო ან თანამდებობის პირი ახორციელებს. მაგალითად, ბოსნიაში ეს არის დისციპლინური პროკურორი. ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში სამართალწარმოებას იწყებს ერთი ორგანო (თანამდებობის პირი), ხოლო წინასწარ მოკვლევას ახორციელებს სხვა, მასზე დაქვემდებარებული ან მისგან დამოუკიდებელი ორგანო ან თანამდებობის პირი. მაგ., სამართალწარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს ლორდ კანცლერს დიდ ბრიტანეთში, იუსტიციის მინისტრს საფრანგეთში, სასამართლოს თავმჯდომარეებს ან იუსტიციის სამინისტროს გერმანიაში და ხორვატიაში<sup>138</sup>.

პოლონეთში დისციპლინური საქმის მოკვლევა იწყება დისციპლინური იუსტიციის მინისტრის, სასამართლოს თავმჯდომარის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით<sup>139</sup>.

საქართველოში 2017 წლამდე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება ჰქონდა როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ასევე სასამართლოს თავმჯდომარეებს. 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებით შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი და ყველა ეს უფლებამოსილება მხოლოდ დამოუკიდებელ ინსპექტორს გადაეცა<sup>140</sup>.

### 3.4.2. დისციპლინური საქმის მოკვლევა და მოსამართლის პასუხისგებაში მიცემა.

დისციპლინური საქმის მოკვლევა გულისხმობს დისციპლინურ საქმეზე ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვებას მისი არსებითი განხილვის მიზნით.

ზოგიერთ ქვეყანაში, როგორებიცაა მაგ., მალტა ან პორტუგალია, დისციპლინური საქმის მოკვლევას ეტაპი ფორმალურად არ არსებობს. დისციპლინური საჩივარი პირდაპირ დისციპლინურ ტრიბუნალს გადაეცემა<sup>141</sup>.

ზოგ ქვეყნებში მოკვლევას ორგანოს საგამოძიებო უფლებამოსილებები მკაფიოდ არის დადგენილი კანონით, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა შეიცავს ზოგად მითითებას ინფორ-

135 ENCJ, Minimum Standards for Disciplinary Liability of Judges and Prosecutors, p. 27

136 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15.3

137 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>8</sup> მუხლი.

138 <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>; იხ. ასევე ხორვატიის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თაობაზე, მუხ. 67. <https://www.zakon.hr/z/127/Zakon-o-Dr%C5%BEavnom-sudbenom-vije%C4%87u>

139 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი 114

140 იხ. კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე, მუხ. 7.

141 Gui Canivet, Professional Discipline of Supreme Court Judges, a Synthesis Report, [http://network-presidents.eu/sites/default/files/Report\\_Canivet\\_Discipline\\_engl%5B1%5D.pdf](http://network-presidents.eu/sites/default/files/Report_Canivet_Discipline_engl%5B1%5D.pdf)

მაციის შეგროვებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., საქართველოსა და ჩრდილო მაკედონიაში, მოქმედებს ორეტაპიანი პროცედურა, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა ესაჭიროება ასევე დისციპლინურ საქმეზე ოფიციალური დევნის დაწყებას<sup>142</sup>.

პოლონეთში, ისევე როგორც კოსოვოში, მოსამართლეს შეუძლია დისციპლინურ ოფიცერს მიმართოს შუამდგომლობით მტკიცებულების გამოთხოვნის თაობაზე<sup>143</sup>.

პოლონეთში დისციპლინურ ოფიცერს აქვს უფლება დააჯარიმოს მოწმე, რომელიც უარს ამბობს მის წინაშე გამოცხადებასა და ჩვენების მიცემაზე<sup>144</sup>.

საქართველოში დამოუკიდებელ ინსპექტორს არ აქვს მოწმის სავალდებულო გამოძახების, ან კერძო წყაროებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებები, თუმცა მას აქვს უფლება ინფორმაცია გამოითხოვოს სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მონაცემთა ბაზებიდან<sup>145</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., ლიეტუვასა და საქართველოში, მოქმედებს ორეტაპიანი სისტემა, სადაც დისციპლინური საქმის მოკვლევისა და ბრალდების ფუნქციები გაყოფილია ერთმანეთისგან: დისციპლინური საქმის მოკვლევას ახორციელებს კონკრეტული პირი, ხოლო ბრალდების ფუნქციას – კოლექტიური ორგანო. პოლონეთში როგორც მოკვლევას ასევე ბრალდების ფუნქციებს დისციპლინური ოფიცერი ახორციელებს<sup>146</sup>, თუმცა იუსტიციის საბჭოს შეუძლია გაასაჩივროს დისციპლინურ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება.

ლიეტუვაში მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას ახორციელებს ეთიკისა და დისციპლინის კომისია, რომელიც შედგება 7 წევრისგან. ორ წევრს (საზოგადოებრივ წევრებს) ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ერთს (საზოგადოებრივ წევრს) პარლამენტის თავმჯდომარე და ოთხს – იუსტიციის საბჭო<sup>147</sup>. კომისიის მიერ პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში – საქმეს იხილავს ღირსების სასამართლო.

მოლდოვაში დისციპლინურ გამოძიებას მთლიანად აწარმოებს დისციპლინური ინსპექტორების სამსახური, რომელიც ასევე მხარს უჭერს ბრალდებას სადისციპლინო კოლეგიაში. დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობის შემთხვევაში სამსახურს შეუძლია საქმე შეწყვიტოს, თუმცა მომჩივანს შეუძლია მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება სადისციპლინო კოლეგიაში<sup>148</sup>.

### 3.4.3. დისციპლინური საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

დისციპლინური საქმის არსებით განხილვა მოიცავს მტკიცებულებათა ზეპირ გამოკვლევას მხარეთა თანდასწრებით, მხარეთა პოზიციების მოსმენას და დისციპლინური სახდელის დაკისრებას.

სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ესტონეთში, გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვიდან დისციპლინური საქმის არსებითად განხილვამდე<sup>149</sup>.

მოლდოვასა და უკრაინაში დისციპლინური საქმის არსებით განხილვაში მომჩივანიც იღებს მონაწილეობას<sup>150</sup>.

კოლეგიური ორგანო, როგორც წესი, გადაწყვეტილებას მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე იღებს ხმის უმრავლესობით<sup>151</sup>. თუმცა მაკედონიაში გა-

142 იხ. ჩრდილო მაკედონიის სამოსამართლო საბჭოს შესახებ კანონი, მუხ. 63 (OHCHR North Macedonia)

143 იხ. პოლონეთის კანონი (მუხ. 114.4), კოსოვო, კანონი მოსამართლეთა და პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 12.

144 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 114 ა.

145 საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხლი 75<sup>7</sup>

146 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 112

147 ლიტვის სასამართლოს შესახებ კანონი, მუხ. 85

148 მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე

149 იხ. მაგ. ესტონეთის კანონი სასამართლოს შესახებ, მუხ. 95.

150 მოლდოვას კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 31.

151 <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

დაწვევტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ით მიიღება<sup>152</sup>.

საქართველოში დისციპლინური საქმის არსებითი განხილვა დეტალურად რეგულირებულია საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 7533 მუხლით. ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „მხარეებს უფლება აქვთ, სრულად გამოხატონ და სათანადოდ დაიცვან თავიანთი პოზიციები, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებები, აღძრან შუამდგომლობები სხვადასხვა დოკუმენტების, მასალების ან ინფორმაციის გამოქვეყნების, ანდა სხდომაზე მიწვეულ პირთა ინფორმაციების მოსმენის, დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ან დამატებითი პირების მიწვევისა და მათი ინფორმაციების მოსმენის, შესაბამისი სასამართლო საქმის გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღონისძიებები. შუამდგომლობებს განიხილავს სადისციპლინო კოლეგია.“

ქართული კანონმდებლობის თანახმად, დისციპლინური საჩივრის ავტორი არ არის დისციპლინური პროცესის მხარე და ის არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, არც გასაჩივრების უფლებით სარგებლობს. ქართული კანონმდებლობა არ იცნობს საქმის განხილვის დროს მოსამართლის თანამდებობიდან დროებით ჩამოცილებას.

#### 3.4.4. დისციპლინური საქმის განხილვის საჯაროობა.

დისციპლინური საქმის განხილვის საჯაროობის კუთხით იკვეთება 3 სხვადასხვა მოდელი: 1. რიგ ქვეყნებში (მაგ., ბოსნია, პოლონეთი, საფრანგეთი) საქმის განხილვა საჯაროა, თუმცა შეიძლება დაიხუროს მხოლოდ გარკვეული გარემოებების არსებობისას, როგორებიცაა მაგ., საჯარო წესრიგი, ან კერძო ცხოვრების საიდუმლოება, ან მართლმსაჯულების ინტერესები; 2. რიგ ქვეყნებში საქმის განხილვა არის საჯარო, მაგრამ შეიძლება დაიხუროს მხარეთა მოთხოვნით (იტალია, მონტენეგრო) ; 3. ზოგ ქვეყნებში (ბულგარეთი, მაკედონია) სადისციპლინო პროცესი მთლიანად დახურულია<sup>153</sup>

პოლონეთში დისციპლინური საქმის განხილვა არის საჯარო, თუმცა შეიძლება დაიხუროს მორალის, სახელმწიფო უშიშროების ან კერძო ცხოვრების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე<sup>154</sup>.

ღია სხდომა ტარდება უკრაინაშიც, რომელიც შეიძლება დაიხუროს იმავე საფუძვლით, რასაც კანონი ითვალისწინებს ზოგადად სასამართლო სხდომის დახურვისათვის<sup>155</sup>.

საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე სადისციპლინო კოლეგიის, ასევე სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება<sup>156</sup>, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ უფლებით არავის უსარგებლია.

#### 3.4.5. დისციპლინური სანქციის შეფარდება.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სანქციის დანიშვნისას. მათი ჩამონათვალი საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ჩამონათვალის მსგავსია. საკმაოდ დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს ალბანეთის კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების სტატუსის შესახებ, მუხ. 115. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, აღნიშნული კანონი შეიცავს სანქციის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალს: კერძოდ, შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენენ:

ა. გადაცდომის ჩადენა პირველად; ბ. მაგისტრატის მოქმედება სხვა პირის ლოალობით ან მისადმი შიშით; გ. მაგისტრატის ქცევის მცირე როლი საქმის მთლიანი გარემოებების გათვალისწინებით გ. მაგისტრატის თანამშრომლობა დისციპლინურ ორგანოებთან საქმისწარმოების პრო-

152 იქვე.

153 <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

154 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 116

155 კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 49.

156 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მუხ. 75<sup>1</sup>



ცესში; დ. მაგისტრატის მიერ ზიანის გამოსწორება და შედეგების შემსუბუქება; ე. გადაცდომის ჩადენიდან გასული ხანგრძლივი დრო ვ. ნებისმიერი სხვა გარემოება, რაც იმსახურებს სახდელის შემსუბუქებას.

დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენენ:

ა. გადაცდომის ჩადენა არაერთგზის ან წინა სანქციის გაქარწყლებამდე; ბ. განგრძობადი გადაცდომის ჩადენა; გ. გადაცდომის ჩადენა დისკრიმინაციული მოტივით; დ. გადაცდომის ჩადენა სხვა ქვენაგრძობით; ე. სხვების წაქეზება გადაცდომის ან უკანონო ქცევისკენ; ვ. გადაცდომის ჩადენა სხვისი მოწყვლადი ან დაუცველი მდგომარეობის გამოყენებით; ზ. ნებისმიერი სხვა გარემოება რაც იმსახურებს სასჯელის გამკაცრებას

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასევე ადგენს თუ რა სახის სახდელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ სიმძიმის გადაცდომის ჩადენისას. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა, რომელიც ერთმანეთისგან ანსხვავებს გადაცდომების 3 (მსუბუქი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) კატეგორიას, მიუთითებს, რომ – მსუბუქი და მძიმე დარღვევები ისჯება გაფრთხილებით ან ჯარიმით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დარღვევები – უფლებამოსილების შეჩერებით, იძულებითი მივლინებით ან სამსახურიდან გათავისუფლებით<sup>157</sup>. გამომდინარე იქედან, რომ დისციპლინური გადაცდომები შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა გარემოებაში, მიგვაჩნია, რომ დისციპლინური გადაცდომების ასეთი კლასიფიკაცია არ არის მიზანშეწონილი.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომლებსაც სადისციპლინო კოლეგია იღებს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას, საკმაოდ მწირია, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>47</sup> მუხლის თანახმად, ეს გარემოებებია: დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხი.

### 3.4.6. გასაჩივრება

#### ა. გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი

როგორც წესი, სადისციპლინო საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს დისციპლინური დევნის ორგანოს და მოსამართლეს, თუმცა არსებობენ გარკვეული გამონაკლისებიც.

უკრაინაში სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ როგორც მოსამართლეს, ასევე მომჩივანს<sup>158</sup>

პოლონეთში დისციპლინური გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება აქვთ იუსტიციის მინისტრს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დისციპლინურ ოფიცერს და მოსამართლეს<sup>159</sup>.

საქართველოს კანონმდებლობით სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ დისციპლინური საქმის მხარეებს, მოსამართლეს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს<sup>160</sup>.

#### ბ. საჩივრის განმხილველი ორგანოები.

ალბანეთში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება უზენაეს სასამართლოში<sup>161</sup>.

157 <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/DCJ-DisciplinaryoverviewinEurope.pdf>

158 უკრაინის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 51.7

159 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 121

160 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>54</sup> მუხლი.

161 იხ. ალბანეთის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 36 [https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania\\_Law\\_organization\\_functioning\\_high\\_council\\_justice\\_2001\\_am2014\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6929/file/Albania_Law_organization_functioning_high_council_justice_2001_am2014_en.pdf)

უკრაინაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება საჩივრდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პლენუმში. მის განხილვაში არ მონაწილეობენ სადისციპლინო პალატის წევრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დისციპლინური საქმის თავდაპირველ განხილვაში<sup>162</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში<sup>163</sup>.

ესტონეთში უზენაესი სასამართლოს დისციპლინური პალატის გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაესი სასამართლოს პლენუმში<sup>164</sup>.

ლიეტუვაში ღირსების სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაესი სასამართლოს 3-წევრიან კოლეგიაში.

ხორვატიაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოში<sup>165</sup>.

საქართველოში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში<sup>166</sup>.

### 3.4.7. დისციპლინური გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

ამა თუ იმ სისტემაში დისციპლინური გადაწყვეტილება შეიძლება გამოქვეყნდეს ან დაშტრიხული ფორმით, ან მოსამართლის სახელისა და გვარის მითითებით. პოლონეთში გამამტყუნებელი დისციპლინური გადაწყვეტილებები საჯაროდ ქვეყნდება, თუმცა დისციპლინურ ორგანოს შეუძლია დისციპლინური პროცესის მიზნებისთვის, ან კერძო ცხოვრების დასაცავად, გადაწყვეტილება არ გამოაქვეყნოს<sup>167</sup>.

აშშ-ის კალიფორნიის შტატში დისციპლინური სანქციის გასაჯაროების საკითხი სანქციის სახეზეა დამოკიდებული: სარეკომენდაციო წერილები (advisory letter) და კერძო შენიშვნები (private admonishment) დახურულია, ხოლო საჯარო საყვედური, საჯარო გაკიცხვა და თანამდებობიდან გათავისუფლება ქვეყნდება მოსამართლის სახელის და გვარის მითითებით<sup>168</sup>.

ლატვიაში დისციპლინური გადაწყვეტილებები ქვეყნდება მოსამართლის სახელისა და გვარის დაშტრიხებით<sup>169</sup>.

საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75<sup>73</sup> მუხლის თანახმად: სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, თუ თავად მოსამართლემ არ მოითხოვა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროება, კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება სრულად ქვეყნდება.

162 უკრაინის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 51.7

163 უკრაინის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 52

164 ესტონეთის კანონი სასამართლოს შესახებ, მუხ. 97. მსგავსი მოდელი მოქმედებს კოსოვოში იმ განსხვავებით რომ დისციპლინურ საჩივარს არ იხილავს პლენუმში, არამედ უზენაესი სასამართლოს პალატა. კოსოვოს კანონი მოსამართლეთა და პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 15 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf>

165 ხორვატიის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მუხ. 71. <https://www.zakon.hr/z/127/Zakon-o-Dr%C5%BEavnom-sudbenom-vije%C4%87u>

166 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75<sup>54</sup> მუხლი.

167 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 109.ა

168 [https://cjp.ca.gov/complaint\\_process/](https://cjp.ca.gov/complaint_process/)

169 <http://at.gov.lv/en/tieslietu-padome/tiesnesu-pasparvaldes-institucijas/tiesnesu-disciplinarkolegija>



### 3.4.8. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვა

პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვას როგორც მოსამართლის სასარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგოდ<sup>170</sup>.

ჩრდილო მაკედონიის კანონმდებლობა სპეციფიკურად ითვალისწინებს დისციპლინური საქმისწარმოების განახლებას მოსამართლის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დისციპლინურ პროცესში მოსამართლის უფლების დარღვევა დაადგინა.

საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დისციპლინური საქმის გადასინჯვის მექანიზმს არ ითვალისწინებს. რამდენიმე საქმეზე, სადაც მოსამართლეებმა სადისციპლინო ორგანოებს მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო საქმეთა გადასინჯვის მოთხოვნით, სადისციპლინო კოლეგიამ საქმე არსებითად არ განიხილა და შეწყვიტა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (იმის მიუხედავად, რომ მოსამართლეები ითხოვდნენ საქმის არსებით განხილვას და გამართლებას).

### 3.5. დისციპლინური სტატისტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

2012 წლიდან დღემდე საქართველოს საერთო სასამართლოების დისციპლინურმა კოლეგიამ სულ 19 საქმე განიხილა. აქედან დისციპლინური სანქცია დაეკისრა მხოლოდ 10 მოსამართლეს<sup>171</sup>. არც ერთი მოსამართლე არ ყოფილა გათავისუფლებული დისციპლინური წესით. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკური ინფორმაციის მიმოხილვა ადასტურებს, რომ საქართველოს დისციპლინური სისტემა ეფექტურობის თვალსაზრისით, ბევრად ჩამორჩება ევროპულ მაჩვენებლებს<sup>172</sup>.

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა	ბოლო 10 წლის განმავლობაში დისციპლინური წესით დასჯილი მოსამართლეების რაოდენობა	მათ შორის, თანამდებობიდან გათავისუფლდა დისციპლინური წესით
ხორვატია	1700	152	8
ჩეხეთი	3063	117	6
რუმინეთი	6822	165	32
ესტონეთი	242*	20	2
ესპანეთი	5171**	212	5

საქართველოში ბოლო 10 წლის დისციპლინური სტატისტიკა წლების მიხედვით ჩაშლილი სახით, შემდეგია:

\* <https://www.kohus.ee/et/eesti-kohtud/eesti-kohtunikud>

\*\* <https://www.poderjudicial.es/stfls/ESTADISTICA%20JUDICIAL%20NUEVO/FICHEROS/Datos%20de%20Justicia/Boletines%20Anteriores/Bolet%20C3%ADn%20n%20C2%BA%2037%20-%20El%20n%20C3%BAmer%20de%20jueces%20en%20los%20pa%20C3%ADses%20de%20la%20Uni%20C3%B3n%20Europea%20.pdf>

170 პოლონეთის საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 126

171 <http://dcj.court.ge/>

172 წყარო – <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>



წელი	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	შენიშვნა	საყვედური	მკაცრი საყვედური	გათავისუფლება
2011	2	2	9	2	1
2012	1	1	2		
2013	1				
2014					
2015					
2016		1	1		
2017		1			
2018	1				
2019	2	1			
2020	1	1			

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2012 წლამდე საქართველოში მკაცრი დისციპლინური პოლიტიკა მოქმედებდა, ხოლო 2012 წლის შემდეგ დისციპლინური სტატისტიკა რადიკალურად შეიცვალა. 2014-2015 წლებში საქართველოში არც ერთი მოსამართლე არ ყოფილა დასჯილი დისციპლინური წესით, ხოლო 2016-2020 წლებში სულ 9 მოსამართლე დაისაჯა დისციპლინური წესით<sup>173</sup>. გამოყენებული იქნა სიმკაცრის მიხედვით ყველაზე მსუბუქი სანქციები – 4 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, 4 შენიშვნა და 1 საყვედური.

173 დისციპლინური სტატისტიკის ასეთი ცვლილება ვერ აიხსნება დისციპლინურ გადაცდომებში შეტანილი შესწორებებით. მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ინსტიტუტი (რომელიც ასევე გადაფარავდა 2012 წლამდე მოქმედ „კანონის უხეში დარღვევას“) გაუქმდა 2019 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით.

დისციპლინურ გადაცდომებთან, სანქციებთან, დისციპლინურ პროცესთან დაკავშირებით დასავლეთ ევროპული, აღმოსავლეთ ევროპული და ამერიკული სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა იკვეთება საერთო თავისებურებები და გავრცელებული მოდელები. დისციპლინური გადაცდომების ფორმულირების თვალსაზრისით, გვხვდება როგორც უაღრესად დეტალიზებული, ასევე ნაკლებად დეტალიზებული მოდელები. მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და კანონის უხეში დარღვევა ბევრ სამართლებრივ სისტემაში ამა თუ იმ ფორმით არის დასჯადი. განსხვავებული მოდელები არსებობს დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების, ბრალდების, არსებითი განხილვისა და გასაჩივრების კუთხით. ზოგ სისტემებში დისციპლინური პროცესი – დაწყებული საჩივრების მიღებიდან – დამთავრებული გადაწყვეტილების გასაჩივრებამდე, მთლიანად სასამართლო სისტემის შიგნით მიმდინარებს, ხოლო ზოგ სისტემებში დისციპლინური საქმის მოკვლევაში ჩართული არიან გარე სუბიექტები, როგორცაა, მაგალითად, იუსტიციის მინისტრი. ზოგ ქვეყნებში გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები მხოლოდ მოსამართლეები არიან, ხოლო რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს დისციპლინურ ორგანოებში საზოგადოებრივი წევრების მონაწილეობას, რისი მიზანიც სისტემის ღიაობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაა. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დისციპლინური სისტემები მიისწრაფვიან მეტი პროფესიონალიზმისკენ, მეტი გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობისკენ, რისი მიზანიც დისციპლინური სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფაა.

საქართველოს დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა მთლიანობაში შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, პრობლემას არა საკანონმდებლო რეგულაციები, არამედ მათი არაჯეროვანი გამოყენება წარმოადგენს. დისციპლინური ძალუფლება თავმოყრილია გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფის – კლანის ხელში, რის გამოც ის შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც მოსამართლეებზე არაჯეროვანი ზეგავლენის მექანიზმი, ასევე ფავორიტი მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმი. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში გათვალისწინებული უნდა იქნას ის მოდელები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დისციპლინური ძალაუფლების დეკონცენტრაცია.